საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9588/01
10/09/2021

9588-01-2-202109101730

ონის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ 2021 წლის 8 სექტემბრის N14211/1 წერილით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ონის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სათავე ნაგებობის და მიმდებარე ტერიტორიის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ლინკი - https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33229). დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge.

გიგზავნით ზემოაღნიშნულ სკრინინგის განცხადებას თანდართული დოკუმენტაციით. გთხოვთ, უზრუნველყოთ სკრინინგის განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044